პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:
“ფარმაცია”(სააფთიაქო)

<u>გარანტირებული დასაქმება!</u>

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, ჯანდაცვის სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა, კერძოდ, პროფესიული კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღებას და განთავსებას, ნაშთების პერიოდულ კონტროლს, პარაფარმაცევტული პროდუქციის შერჩევა–მიწოდების პროცესში მონაწილეობას, მცირე შეფუთვებად მზა სამკურნალწამლო ფორმის დაფასოებას, რეცეპტის მიხედვით სამკურნალო საშუალების მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული პროდუქციის რეალიზაციას;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა, სრული ზოგადი განათლება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო და შესაძლებლობებია: ფარმაციაში კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის პოზიციაზე აფთიაქებში (ავტორიზებულ აფთიაქში, სპეციალიზებულ და საცალო რეალიზაციის სავაჭრო ობიექტში), საბითუმო რეალიზაციის ობიექტზე, სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიებში;

<u>სწავლა დაფინანსებულია სახელმწიფოს მიერ!</u>

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- შეამოწმოს პროდუქცია ვიზუალურად;
- დაადგინოს თანხმლებ დოკუმენტაციასთან იგივეობა;
- შეამოწმოს სასაქონლო ნიშნები და რაოდენობა;
- განათავსოს პროდუქცია სათანადო ადგილზე;
- ჩაატაროს სააფთიაქო ნაშთის შემომავალი, პერიოდული, საბოლოო კონტროლი;
- განახორციელოს ორიგინალური შეფუთვის მცირე შეფუთვებად დაფასოება, შეფუთვა, მარკირება;
- მოამზადოს რეცეპტის მიხედვით სითხოვანი, მყარი და რბილი სამკურნალწამლო ფორმები;
- გაითვალისწინოს მომხმარებელთან ურთიერთობისას ფარმაცევტული ეთიკის და დეონტოლოგიის პრინციპები;
- განახორციელოს მომხმარებლისათვის სასურველი პროდუქციის შერჩევა-მიწოდება,კონსულტაციის გაწევა პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღების, გამოყენების და შენახვის პირობების შესახებ;
- განახორციელოს ურეცეპტოდ გასაცემი ფარმაცევტული
- პროდუქციის რეალიზაცია;
- განახორციელოს ანგარიშის მომზადება—ჩაბარება პროდუქციის მიღების, ნაშთის პერიოდული შემოწმების, ექსტემპორალური სამკურნალწამლო ფორმების მომზადების, მცირე შეფუთვებად სამკურნალწამლო ფორმების დაფასოების შესახებ;
- დაიცვას სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები, გარემოსა და უსაფრთხოების წესები.

სტრუქტურა და მოდულები

- პროგრამა მოიცავს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 11 კრედიტის მოცულობით და 26 პროფესიულ მოდულს, ჯამური 109 კრედიტის მოცულობით. შესაბამისად პროგრამის სრული მოცულობაა 120 კრედიტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

- მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე _ უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Higher Vocational Qualification in Pharmacy.“

გაიცემა ორენოვანი სახელმწიფო დიპლომი!